# ხვალ სტარტს აიღებს ახალი სასწავლო წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 173 (5203)

1974 წ. 1 სექტემბერი კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ჩემპიონატის პრიზიორები გამოვლინდნენ

ჰავანა, 31 აგვისტო. აქ ცნობილი გახდა მოკრივეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულთა ვინაობა. ჩვენი პლანეტის უძლიერესი მოკრივის სახელი დაიმსახურეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ხ. ერნანდესმა, დ. როდრიგესმა (ორივე — კუბა), ვ. გომესმა (პუერტო-რიკო), ჯ. დევისმა (აშშ), ვ. სოლომინმა (სსრ კავშირი), ა. კალულემ (უგანდა), ე. კორეამ, რ. გარბეიმ (ორივე — კუბა), რ. რისკიევმა (სსრ კავშირი), მ. პარლოვმა (იუგოსლავია) და თ. სტივენსონმა (კუბა).

საბჭოთა მოკრივეთაგან ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს: ბ. კუზნეცოვმა (ქვემსუბუქი წონა) და ო. კოროტაევმა (ქვემძიმე), ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს ე. იუდინმა (პირველი უმჩატესი), ვ. ზასიპკომ (მეორე უმჩატესი), დ. ტოროსიანმა (მჩატე) და ა. კლიმანოვმა (პირველი საშუალო).

ასპარეზობაში მონაწილეობდა 45 ქვეყნის 268 მოკრივე.



ვ. სოლომინი



რ. რისკიევი



ბ. კუზნეცოვი



ო. კოროტაევი

ჩოგბურთი

## კაკულია — ნიუკომბი

ფორესტ-ჰილსში გრძელდება აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. პირველ წრეში თბილისელმა თ. კაკულიამ მოუგო ბრაზილიელ ლ. ტავარესს — 6:2, 6:3, 6:4. მომდევნო წრეში შეხვდება მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს ავსტრალიელ ჯ. ნიუკომბს. საბჭოთა ჩოგბურთელი ო. მოროზოვა ითამაშებს ჩეხოსლოვაკიელ მ. ნავრატილოვასთან.

„უიმბლდონი—74“-ში გამარჯვებულმა, 19 წლის ამერიკელმა ჯ. ევერტმა იოლად დაამარცხა ფრანგი გ. შანფრო — 6:1, 6:1. ეს ამერიკელი ჩოგბურთელის ზედიზედ 53-ე გამარჯვებაა. მისმა დამ ჯ. ევერტმა წააგო ავსტრალიელ ი. გულაგონგთან — 3:6, 0:6.

ინდოეთის პირველი ჩოგანი ვ. ამრიტრაჯი მეორე წრეში ეასპარეზება ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს შვედ ბ. ბორგს.

ჭადრაკი

## არმიელები დაწინაურდნენ

ჭადრაკში საკავშირო თასის გუნდურ გათამაშებაში შედგა ბოლოსწინა, VIII ტური.

ცსკა-მ დიდი ანგარიშით დაამარცხა „მოლდოვა“ — 7:2. ამ მოგებამ არმიელები დააწინაურა.

„ლოკომოტივი“ უგებს „ავანგარდს“ — 5:1 (სამი პარტია გადადებულია).

დანარჩენ შეხვედრებში ასეთი მდგომარეობაა: „ბურევესტნიკი“ — „ზენიტი“ — 2:1 (6), „დაუგავა“ — „დინამო“ — 3:3 (3), „ტრუდი“ — „სპარტაკი“ — 2:5 (2).

ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: ცსკა — 41 (2), „ტრუდი“ — 40,5 (6), „სპარტაკი“ — 38,5 (3), „ბურევესტნიკი“ — 38 (10), „დინამო“ — 35,5 (6), „დაუგავა“ — 33 (7), „ავანგარდი“ — 30,5 (8), „ლოკომოტივი“ — 30,5 (6), „ზენიტი“ — 22 (11), „მოლდოვა“ — 19,5 (3).

## პირველი წრე უდანაკარგოდ

მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

სტამბული, 30 აგვისტო. გუშინ „ინენიუს“ სტადიონზე (უწინ მას „მედხად-ფაშას“ სახელი ერქვა) დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

I წრე ყველაზე უკეთ გაიარეს საბჭოთა ათლეტებმა და ჩემპიონატის მასპინძლებმა. სსრ კავშირის ნაკრების ყველა წევრმა ამ დღეს გაიმარჯვა, თურქებმა კი მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს (100 კგ. წონითს კატეგორიაში დამარცხდა გ. ილმაზი ევროპის ჩემპიონთან, გდრ-ის წარმომადგენელ ჰ. ბიუტნერთან).

ვინ როგორ იჭიდავა ჩვენს გუნდში პირველ დღეს?

რ. გაჯიევი (48 კგ) ისვენებდა. რ. დმიტრიევმა (52 კგ) დაამარცხა ავსტრალიელი დ. კინსელი (წმინდად, 1 წუთსა და 17 წამში), ვ. იუმინმა (57) — ისრაელის წარმომადგენელი ი. ანარონი (წმინდად, 5 წუთსა და 20 წამში), ზ. გაჯიევმა (62 კგ) — ავსტრალიელი ს. პენიროოლუ (წმინდად, 1 წუთსა და 52 წამში), ნ. ნასრულაევმა (68 კგ) — რუმინელი ს. პეტრონე (წმინდად, ქულების უპირატესობით 26:4), რ. აშურალიევმა (74 კგ) — ირანელი რ. გუდარზი (ქულებით), ვ. ნოვოჟილოვმა (82 კგ) — ბულგარელი შ. ლუთვიევი (ქულებით, 2:1), ლ. თედიაშვილმა (90 კგ) — ამერიკელი ვ. ბაუსანი (წმინდად, 4 წუთი, 17 წამი), ვ. გულიუტკინმა (100 კგ) — იაპონელი შ. სეიდო (წმინდად, 49 წამში), ს. ანდიევმა (მძიმე) — შვეიცარიელი რ. შრონდლი (59 წამში).

სენსაციური მარცხი განიცადეს I წრეში ბულგარელებმა. სტარტზე მათ 5 შეხვედრა წააგეს. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ევროპის ჩემპიონების ო. ნიკოლოვის, დ. ცეკოვისა და ი. ვასილევის დამარცხება.

## ტანმოვარჯიშის რეკორდი

ვილნიუსი, 31 აგვისტო. ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასები დაისაკუთრეს როსტოველმა ლ. ტურიშჩევამ და ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა.

ტურიშჩევამ მეხუთედ მოიპოვა ეს დიდი ჯილდო, რაც პირველი შემთხვევაა საბჭოთა ტანვარჯიშის ისტორიაში. თასის გათამაშების ფინალურ შეჯიბრებაში 18-18 უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი და ვაჟი დაუშვეს. სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამებით გუნდურ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგები გაიყო. პრიზების პრეტენდენტებს ამ შედეგებისთვის უნდა დაემატებინათ მრავალჭიდის ნებისმიერი კომპლექსის კიდევ ერთი შესრულებისთვის მიღებული შეფასება.

ტურიშჩევას და კორბუტს სტარტზე მხოლოდ 0,075 ქულა აშორებდათ ერთმანეთს. პირველი ორი იარაღის შემდეგ კორბუტმა (ხტომა — 9,1, ორძელი — 9,6) არა მარტო შეამცირა სხვაობა, არამედ ჩამოიტოვა კიდეც მეტოქე, რომელმაც იმავე ვარჯიშებისთვის 9,65 და 9,5 ქულა მიიღო.

ტურიშჩევამ დამაჯერებლად დაამთავრა ოთხჭიდი: დვირი — 9,45, თავისუფალი ვარჯიში — 9,6. საბოლოო ჯამში — 76,15. კორბუტმა დვირზე უზუსტოდ გააკეთა 360-გრადუსიანი ბრუნი და მალაყის შემდეგ... ფიცარნაგზე აღმოჩნდა — 8,95. აღელვებულმა სპორტსმენმა ვეღარც თავისუფალი ვარჯიში შეასრულა კარგად (9,25) და საბოლოოდ IV ადგილზე დარჩა.

— ამ შეჯიბრებაში თავს რაღაც შებოჭილად ვგრძნობდი, — გვითხრა ტურიშჩევამ. — დედაჩემი ახალი ნაავადმყოფარია და არ მინდოდა ჩემი მარცხით მისთვის გული მეტკინა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა...

კორბუტსაც ჰქონდა აღელვების მიზეზი: დედამისი ჩამოვიდა ვილნიუსში, რათა პირველად ენახა თავისი ქალიშვილის გამოსვლა არა ტელეეკრანზე, არამედ უშუალოდ. ოლგა ნერვებს ვერ მოერია. მაგრამ დიდად დასაღონებელიც არაფერია: მალე მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება ვარნაში და კორბუტს შეუძლია იქ თავი უფრო მეტად გამოიჩინოს.

გამარჯვებისაკენ დიდი სწრაფვა გვიჩვენა ჩიმკენტელმა ნელი კიმმა. „სკოლის“ შემდეგ იგი XIII ადგილზე იყო, მაგრამ ბოლოს მეორე აღმოჩნდა — 75,675. III ადგილზეა მოსკოველი ე. საადი, რომელმაც კვლავ დაიბრუნა სპორტული ფორმა. V ადგილი ხვდა თბილისელ ნ. დრონოვას — 75,1. „ექვსეულის ჩამკეტია“ ასევე საქართველოს წარმომადგენელი რ. სიხარულიძე — 74,95. ორძელზე მარცხმა ლიდერთა ჯგუფში ადგილი დაუკარგა ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს ს. გროზდოვას.

მაყურებლებს იმედი გაუცრუვდათ, როცა ხანმოკლე შესვენების შემდეგ ვაჟთა შეჯიბრება დაიწყო. გამოირკვა, რომ ვ. კლიმენკო ფიცარნაგზე არ გამოვიდოდა. ანდრიანოვმა ეს უკვე მეორედ (პირველად — 1972 წელს) იოლად მოიპოვა თასი — 112,25.

II-III ადგილები გაინაწილეს გროზნოელმა ვ. მარჩენკომ და ერევნელმა ე. მიქაელიანმა — 111,025 ქულა თითოეულს.

შაბათს, ტურნირის დასკვნით დღეს, განაწილდა მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში ქვეყნის ჩემპიონატის მედლების ათი კომპლექტი.

ს. ვაინტრაუბასი,
ვ. დვორცოვი.
(საკუთრის კორ.).

* * *





სურათებზე: სსრ კავშირის თასის მფლობელები ლ. ტურიშჩევა და ნ. ანდრიანოვი.

## ამჯერად, რუმინელებთან...

კალიარი, 30 აგვისტო. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა მესამე მატჩიც მოიგო ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ამჯერად მან დაამარცხა რუმინეთის გუნდი ანგარიშით — 93:41. ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს უნგრელებს — 64:55, ფრანგებმა — იტალიელებს 46:42.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 283—163 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 1 | 235—247 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 2 | 0 | 155—143 | 2 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 168—171 | 1 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | 134—151 | 1 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 2 | 119—144 | 0 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 155—230 | 0 |

● ●

## ფავორიტები წინ მიიწევენ

ბოგოტაში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ეროვნებათა თასზე.

კვლავ წარმატებით ასპარეზობენ სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდები. საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ბულგარელები — 95:86 (60:45), ხოლო ამერიკელებმა მოუგეს პუერტო-რიკოს ნაკრებს — 99:86 (48:41).

მომდევნო ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია პუერტო-რიკოს (118:58), ხოლო აშშ-მ — ბულგარეთს (93:78).

## მოტოსპორტის ოსტატთა პირველობა

ქალაქ კოლომნაში ჩატარდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა სამოტოციკლო მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 17 გუნდი. სარბიელზე გამოვიდა 225 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ევროპის პირველობის პრიზიორები.

საქართველოს გუნდში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები ა. კლდიაშვილი, ვ. სიტნიკი, ვ. მანუკიანი, გ. ბეგიაშვილი, ახალგაზრდა სპორტსმენები ხ. ჩვანოვი, ნ. ბიკოვი, ა. ლარინი. ხუთდღიანი ასპარეზობის მონაწილეებს ტრასაზე უნდა გადაელახათ წყლის დაბრკოლებები, ძალა ეცადათ ხელყუმბარის ტყორცნასა და სროლაში, მოტოსპრინტში, ბორცვზე ასვლაში და კროსში. პირველივე სტარტიდან ლიდერობა ხელთ იგდო საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. კლდიაშვილმა, რომელმაც ორ დღეში ჩემპიონობის პრეტენდენტებს 101 ქულით გაუსწრო. მაგრამ მესამე დღეს იგი მანქანის უწესივრობის გამო გამოეთიშა პირად შეჯიბრებას და გუნდს მხოლოდ ჩასათვლელი ქულები მისცა.

ხელი მოეცარა ჩვენს მეორე წარმომადგენელს, სპორტის ოსტატ ვ. მანუკიანსაც. მას შეჯიბრების მეორე დღეს მანქანა დაუზიანდა. გუნდმა მიიღო საჯარიმო ქულები და II ადგილზე გადაინაცვლა.

ჩვენი ჭაბუკთა გუნდი სამი დღის განმავლობაში II ადგილზე იყო და შეჯიბრება ასეც დაამთავრა. ამ წარმატებისთვის იგი მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა, 2. მოსკოვი, 3. საქართველო.

თ. შალიბაშვილი,
საქართველოს მოტომრავალჭიდელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

# მოგილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურა — მშობლიური ენისა და მათემატიკის გვერდით

„... ვინც დიდ ცოდნასთან დგას საჭიდაოდ
აქვს ფალავნობაც დაკისრებული,
წიგნია დიდი ქვა საჭიდაო
და მოედანი არის რვეული“...

ამ სტრიქონებში, რომელიც გ. წერეთლის ერთი ცნობილი ლექსიდან ავიღეთ, შესანიშნავადაა გამოხატული სწავლისთვის მოწოდებული ახალგაზრდობის კრედო.

ხვალ ახალი სასწავლო წლის პირველი დღეა. ცოდნის კერებს მიაშურებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პროფტექნიკური, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ათეულ ათასობით მოსწავლე და სტუდენტი. უდავოა, რომ ცოდნისთვის აქ დიდ ლაშქრობას წითელ ზოლად გაჰყვება ზრუნვა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდისთვის, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიმდიდრე და ფიზიკური სრულყოფა. ესაა საერთო მიზანი, რომელიც ერთნაირად აერთიანებს ყველას — მოსწავლე იქნება ის თუ სტუდენტი. ამიტომაცაა, რომ ყოველი ახალი სასწავლო წელი ამ მხრივ ახალ ამოცანებს უსახავს სასწავლო დაწესებულებებს.

ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა დასახული იმათ წინაშეც, ვინც მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს ემსახურება.

ფიზკულტურა და სპორტი დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე — აი, რა არის ამ ამოცანის მთავარი აზრი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შესახებ ამ ორიოდე თვის წინათ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლება დაბალ დონეზეა, ფიზკულტურის გაკვეთილები უფერულად და უინტერესოდ ტარდება“. და დღეს ამ ფაქტზე თუ კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ჩვენი საქმიანობის თავი და თავი ბავშვებთან მუშაობაა, რომ ამთავითვე, ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე საჭიროა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა. დასამალი როდია, რომ ჯერ კიდევ ბევრგან გვხვდება ფიზკულტურისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები. სასწავლებლის ხელმძღვანელთა ასეთი პოზიცია გულს უტეხს ფიზკულტურის მუშაკებს, ზიანს აყენებს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს. რამდენიმე წელია რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დოკუმენტებში ჩაწერილია, რომ „სკოლაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციისთვის პასუხისმგებელია დირექტორი“. ასეც რომ არ იყოს, არავის აოა აქვს უფლება თვითდინებაზე მიუშვას მუშაობა. პასუხისმგებლობა კი არ ჩანს. სხვაგვარად ვერ ახსნი იმ ფაქტს, რომ სკოლის დირექტორები ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რათა ახალი სასწავლო წლისთვის იდეალურად გამოიყურებოდეს სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, აღჭურვონ ისინი ახალ-ახალი დანადგარებით. ამ დღეებში ჩვენ ვეწვიეთ რესპუბლიკის ცენტრალურ სავაჭრო ბაზებს და გამოირკვა, რომ სპორტულ ინვენტარზე დაკვეთები 70-80 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე სასწავლო თვალსაჩინოების სხვა ასორტიმენტზე. ანდა, ის ფაქტი რას მივაწეროთ, რომ წლიდან წლამდე რესპუბლიკის სასწავლებლების სპორტული ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა ახალ სასწავლო წელს კეთილმოუწყობელი ხვდება? ბოლო წლებში ბევრი სასკოლო სპორტული დარბაზი გადაეცა საექსპლოატაციოდ, მაგრამ ყველა როდია აღჭურვილი სათანადო ინვენტარით. სავალალოა ისიც, რომ ზოგიერთ სკოლაში არ ზრუნავენ რეზერვის გამოვლენისა და ამოქმედებისთვის. ეს მაშინ, როცა ფიზიკური აღზრდის პროგრამას მოსწავლეები საკლასო ოთახში, მერხთან „ითვისებენ“. ბევრგან არსებულ ბაზებსაც არ იყენებენ. ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი მაგალითად, დიდხანს იყო გამოკეტილი გათბობის ქსელისა და იატაკის უვარგისობის გამო. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის დარბაზში წყალმა ამოხეთქა. გასახდელებში კი ბუფეტი და საექიმო კაბინეტი გახსნეს. ამავე რაიონის გომის საშუალო სკოლაში კი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო უნდა ყოფილიყო რაიონში, მშენებლებმა პროექტში გათვალისწინებული საცურაო აუზი არ ააგეს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც სკოლის დირექცია საქმეს გულისყურით ეკიდება, ნაკლოვანებებიც ადვილად სწორდება. იგივე გომის სკოლაში (დირექტორი შ. თევზაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ბ. გეფერიძე) საკუთარი ძალებით მოაწყვეს ჩინებული ღია მოედნები. სასოფლო საბჭოს დახმარებით (თავმჯდომარე ვ. გოგუაძე) შეიძინეს სპორტული ინვენტარი. ქობულეთის რაიონის ჩაქვის რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. აფხაზავა, მასწავლებელი რ. ბასილია) მეტად რთულ პირობებში გააშენეს სპორტული ბაზა. ხვალ კი ეს სკოლა შესანიშნავი სპორტული კომპლექსით დამშვენებულ შენობაში ზეიმობს ახალმოსახლეობას. ასევე ძნელ პირობებში იწრთობიან ფიზიკურად ზესტაფონის რაიონის ძირულის საშუალო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი პ. შველიძე, მასწავლებელი ნ. კვირიკაშვილი). სკოლის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართო მსჯელობის საგნად აქციეს ეს საკითხი და ზემდგომ ორგანოებს მიმართეს სკოლის შენობაზე სპორტული დარბაზის მიშენების თხოვნით.

დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე მთელი მუშაობის გარდაქმნის საქმეში განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს ფიზაღზრდის მასწავლებელმა. მასწავლებლის უნარზე, მის პრინციპულობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, პრობლემები, ზოგჯერაც ამ დონემდე აყვანილი ზოგიერთი წვრილმანი ალბათ დიდხანს დარჩება გადაუწყვეტელი და მოუგვარებელი თუ მისი ლიკვიდაციის საკითხი პირველ ყოვლისა მასწავლებელმა არ წამოჭრა.

სახალხო განათლების ახალ კანონში კიდევ ერთხელაა ხაზგასმული, რომ სასწავლო აღმზრდელობის პროცესში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მასწავლებელი. სკოლებში მის პროფესიულ ოსტატობაზე, ალღოზე და მინდობილი საქმისადმი სიყვარულზეა დამოკიდებული მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის სწორი ორგანიზაცია, რესპუბლიკის სპორტსმენთა რეზერვის აღზრდა. ამას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ზემოხსენებული დადგენილება, რომლის განხილვასაც ალბათ ხვალიდანვე შეუდგებიან და საპროგრამო დოკუმენტად გაიხდიან სასწავლო დაწესებულებები.

დღეს განსაკუთრებით დიდი პრეტენზიები გვაქვს სოფლის სკოლებისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მიღებულია სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით, ახალი პერსპექტივები გადაშალა სოფლისა და ქალაქის კულტურის დონის დაახლოებისთვის. გვახარებს ის ფაქტი, რომ წლეულს სპორტული დარბაზით რესპუბლიკის სოფლებში სამჯერ მეტი ახალი სკოლა აიგო, ვიდრე შარშან.

ცხოვრება წინ მიდის. ფიზიკური კულტურა და სპორტი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე სულ უფრო მჭიდროდ მკვიდრდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ საქმეში კი თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ და კვლავაც უნდა შეიტანონ სასწავლო დაწესებულებებმა.

„მესამე საგანი, რომელსაც მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, არის ფიზკულტურა... რატომ დავაყენე ფიზკულტურა მშობლიური ენისა და მათემატიკის გვერდით? იმიტომ რომ მე მას ვთვლი ერთ-ერთ მთავარ საგნად სწავლასა და აღზრდაში“ — ამბობდა მ. კალინინი.

ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. პირიქით, ფიზკულტურას დღეს განსაკუთრებული ადგილი უკავია სასკოლო მუშაობაში.

ახალ სასწავლო წელს ახალ წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

## თეთრი გოგია

ახლა იგი თეთრია. თეთრი აქვს თმა, წარბები, ულვაშები. ამიტომ მეგობრები, ნაცნობები თეთრ გოგიას ეძახიან. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მას „შავტუხა“ გოგია ერქვა. ბავშვობიდან სპორტით იყო გატაცებული და მის სიყვარულში გათეთრდა. სიბერეს მასთან ჯერ რა უნდა. ფრენბურთს დღესაც თამაშობს ხშირად, დარტყმაც კარგი იცის და მეტოქის მოსატყუებელი ხერხიც ბევრი აქვს.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის ოსტატი მოტოსპორტში გიორგი ღლონტი, რკინიგზელი მუშის შვილი, მუდამ ბეჯითი მოწაფე და ფიზკულტურელი იყო. იგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველ გამოშვებას ეკუთვნის და ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც სამამულო ომამდე ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა მშდ კომპლექსის პირველი და მეორე საფეხურის ნიშნებზე. ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ მან ახალგაზრდობა გაიხსენა და მეოთხე საფეხურის ნორმატივებს შეწვდა.

გიორგი ღლონტი 28 წელია თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის უფროს მასწავლებლად მუშაობს. მანამდე 13 წელიწადს თბილისის 55-ე სკოლაში საქმიანობდა.

გიორგი გატაცებული იყო მოტო და ველოსპორტით, ჭიდაობით, ტანვარჯიშით, კალათბურთით, ფრენბურთით, ფეხბურთით, მაგრამ მისი სტიქია მაინც მოტოსპორტი გახლდათ. საქართველოს ჩემპიონნს მოტოკროსში მრავალ გადარბენაში მიუღია მონაწილეობა, მაგალითად: საქართველოს და კავკასიონის გარშემო, მარშრუტით თბილისი — ვალე — თბილისი და სხვ. განსაკუთრებით იხსენებს მარათონულ გადარბენას კომუნიზმის დიად მშენებლობებზე და მარშრუტს თბილისი — კიევი, რომელიც უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს მიეძღვნა.

ფიზაღზრდის მასწავლებლის მთავარი ამოცანაა ჰარმონიული, ჯანმრთელი და ხალისიანი საბჭოთა ადამიანის აღზრდა, — ასეთია მისი აზრი. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. კობახიძე ამბობს, ბედნიერია ის სასწავლებელი, სადაც გიორგი ღლონტისთანა პედაგოგი მუშაობსო.

გიორგი ღლონტს სკოლაში ასზე მეტი თანრიგოსანი და ამდენივე ნიშნოსანი ჰყავს. მოწაფეები წარმატებას აღწევენ მრავალ ასპარეზობაში.

თბილისში სტუმრობისას საფრანგეთის ფიზკულტურის მასწავლებელთა დელეგაციის წევრი, პარიზელი ჟორჟ ფლამენი გ. ღლონტს გაეცნო. „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე კოლეგა გიორგი ღლონტმა, თავისი ერუდიციით, მოწინავე, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის მეთოდებით. ბედნიერი ვარ მისი გაცნობით“, — წერდა იგი.

ხვალ გიორგი ღლონტი ორმოცდამეერთედ შეაღებს სკოლის კარს, ორმოცდამეერთედ მოუხმობს მოსწავლე გოგო-ბიჭებს, ვისზე ზრუნვაში შავტუხა ჭაბუკი თეთრ გოგიად იქცა.

**ა. დადიანი.**

## ოცდამეთექვსმეტე ლაშქრობა

## სიახლემ გაამართლა

## პროტექციონიზმი — ჩიხში

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული კადრების მთავარი სამჭედლო — ხვალ ოცდამეთექვსმეტედ გაუღებს კარს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. მერხებს მიუსხდებიან ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების ღირსეული წარმომადგენლები, ისინი, ვისთვისაც მხოლოდ ცოდნა და სპორტი იყო მთავარი ძალა სტუდენტის საპატიო სახელის მოპოვებისთვის ბრძოლაში. სტარტზეა ახალი სასწავლო წელი, ცოდნის მწვერვალებისკენ ახალგაზრდობის ლაშქრობის პირველი დღე. ფიზკულტურის ინსტიტუტისთვის ესაა ოცდამეთექვსმეტე ლაშქრობა.

დღეს ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ინსტიტუტის პრორექტორი რ. კერესელიძე.

მინდა ამთავითვე აღვნიშნო, რომ წლევანდელი გამოცდები ერთგვარად ახლებურად ჩატარდა. წინათ აბიტურიენტი გამოცდას, სპეციალობის გარდა, ცურვაში, ტანვარჯიშში და მძლეოსნობაშიც აბარებდა. ამ სახეობებში ის ცალ-ცალკე იღებდა ნიშნებს. წლეულს კი ნიშნები იწერებოდა მხოლოდ სპეციალობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში. საერთო ფიზიკური მომზადება, ისევე როგორც მშდ კომპლექსი, ცალკეულ ნორმატივებს შეიცავდა. აქვე ვიტყვი, რომ ეს წინადადება ჩვენმა ინსტიტუტმა წარუდგინა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტს. ასე რომ, წლეულს სსრ კავშირის ფიზკულტურის ინსტიტუტებში ამ წესით ჩატარდა მისაღები გამოცდები. სიახლემ უდავოდ გაამართლა. თეორიული საგნების ჩაბარებაში, ცხადია, ცვლილებები არ ყოფილა.

ინსტიტუტის დირექციის, მისი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის იყო, რომ მიმღებ კომისიას შეერჩია ღირსეულთა შორის ღირსეულნი. ამ მხრივ წლევანდელი კონტინგენტი მართლაც სამაგალითო იყო. ალბათ ყურადღებას მიაქცევდით ჩარიცხულთა სიებს. ნინო დრონოვას არაერთი სასახელო გამარჯვება მოუპოვებია სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ სტუდენტის ბილეთი, ყველა ახალგაზრდის სანუკვარი „პრიზი“ — არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი სახელოვანი ტანმოვარჯიშისთვის. ჩვენი ინსტიტუტის კედლებში ხვალ პირველად მიუსხდებიან მერხებს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები, ტანმოვარჯიშეები ვ. კევლიშვილი და მ. მონიავა, წყალში მხტომელი ა. სოლდატოვი, მსოფლიო ჩემპიონი სამბოში ი. მაღალაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ვ. აბრამიშვილი და სხვები. ჩარიცხულთა თითქმის 75 პროცენტს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები შეადგენენ. სულ კი წლეულს პირველ კურსზე 34 სპორტის ოსტატი, 64 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 144 პირველთანრიგოსანი ჩაირიცხა. ეს პირველი შემთხვევაა ინსტიტუტის ისტორიაში. ასე რომ, ჩვენი სტუდენტების წვლილი ამიერიდან უფრო თვალსაჩინო იქნება რესპუბლიკის სპორტულ წარმატებებში. რაღა თქმა უნდა, ამით ინსტიტუტის ავტორიტეტიც ამაღლდება.

წლეულს მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მოთხოვნები კადრებზე სპორტის ცალკეულ სახეობებში. სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ამ სპორტსმენებიდან მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს და პედაგოგებს მივიღებთ. დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ასეთ მშვიდ და ნორმალურ ატმოსფეროში მისაღები გამოცდები ჩვენთან არასოდეს ჩატარებულა. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს შესაძლებელი გახდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ ამ ბოლო ხანებში ჩვენს საზოგადოებაში გაშლილი ბრძოლის შედეგად. იმ ფაქტმა, რომ წლეულს ჩვენთან პროტექციონიზმის მცდელობასაც არ ჰქონია ადგილი, მიმღებ კომისიას საშუალება მისცა ობიექტურად შეერჩია სტუდენტთა ახალი კონტინგენტი.

დიდ შრომისმოყვარეობას და ახალ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ახალ სტუდენტებს. ამასვე ვუსურვებ ყველას, ვინც წლეულს ინსტიტუტის გარეთ დარჩა. სწორედ შრომისმოყვარეობა მისცემს მათ საშუალებას, რომ მომავალში ჩვენს ინსტიტუტში ჩაირიცხონ.

საუბარი ჩაიწერა
**თ. გაჩეჩილაძემ.**

## ფიზკულტურული ზეიმი ჭიათურაში

ჭიათურაში ჩატარდა სპორტული ზეიმი დევიზით „ჭაბუკები ვიყოთ მარად“.

ზეიმის პროგრამაში ბევრი საინტერესო ღონისძიება შედიოდა, ახლად გახსნილ საცურაო აუზში დილიდანვე თავი მოიყარეს ნორჩმა მოცურავეებმა. ყვირილის მარცხენა მხარის გუნდი „დელფინი“ მარჯვენა მხარის „შევარდენს“ ეჯიბრებოდა ესტაფეტაში და წყალში ჩაძირული ნივთის ძებნაში. პირველ სახეობაში გაიმარჯვა „დელფინმა“, ხოლო მეორეში — „შევარდენმა“, შემდეგ ზეიმის მონაწილეებმა ცენტრალურ სტადიონზე გადაინაცვლეს, სადაც გაიმართა შეჯიბრება სპორტულ თამაშებში. პროგრამაში იყო „ყველაფერი ბურთით“. პარალელურად, ქალაქის ქუჩებში წრიული ხაზით 15 კილომეტრზე რბოლა გამართეს ველოსიპედისტებმა.

სპორტულ თამაშებში ყველას აჯობა ახალი ითხვისის მაღაროს გუნდმა. II ადგილზე აღმოჩნდნენ პერევისის, III — დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოების წარმომადგენლები.

**შ. ჩახუნაშვილი,**
**სპორტულ თამაშებში შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

# სექტემბრის კალენდარი

## I ლიგა

**6.** „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)—„ტორპედო“ (ქუთაისი), ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი“ (დუშანბე), „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი), „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი), „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი), „დინამო“ (მინსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუზბასი“ —(კემეროვო), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ზვეზდა“ (პერმი).

**10.** „სპარტაკი“ (ნ.) — „ტორპედო“, „სპარტაკი“ (ორ.) — „ნეფთჩი“, ასკ — „სტროიტელი“, „ყუბანი“ — „პამირი“, „შინიკი“ — „სპარტაკი“ (ი.-ფ.), „ტექსტილშჩიკი“ — „ტავრია“, „დინამო“ — „მეტალურგი“ (ლ.), „ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“ (ზ.), „კუზბასი“ — „ზვეზდა“, „კრ. სოვეტოვი“ — „ურალმაში“.

**16.** „მეტალურგი“ (ზ.) — „შინიკი“, „მეტალურგი“ (ლ.)—„ტექსტილშჩიკი“, „ტავრია“ — „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ (ი.-ფ.) — „დინამო“, „კუზბასი“ — „ურალმაში“, „ნეფთჩი“ — ასკ, „ტორპედო“ — „ყუბანი“, „სტროიტელი“ — „სპარტაკი“ (ნ.), „პამირი“ — „სპარტაკი“ (ორ.).

**20.** „ზვეზდა“ — „კრ. სოვეტოვი“, „მეტალურგი“ (ზ.) — „ტექსტილშჩიკი“, „მეტალურგი“ (ლ.)— „შინიკი“, „ტავრია“ — „დინამო“, „სპარტაკი“ (ი.-ფ.) — „ლოკომოტივი“, „ნეფთჩი“ — „ყუბანი“, „ტორპედო“ — ასკ, „სტროიტელი“ — „სპარტაკი“ (ორ.), „პამირი“ — „სპარტაკი“ (ნ.).

**27.** „შინიკი“ — „პამირი“, „ტექსტილშჩიკი“ — „სტროიტელი“, „დინამო“ — „ნეფთჩი“, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „კრ. სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ (ი.-ფ.), „ზვეზდა“ — „ტავრია“, „ურალმაში“ — „მეტალურგი“ (ზ.), „კუზბასი“ — „მეტალურგი“ (ლ.), „ყუბანი“—„სპარტაკი“ (ორ).

## II ლიგა III ზონა

**2.** „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (ზუგდიდი) — „დილა“ (გორი), „კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (ბრიანსკი), „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ისკრა“ (სმოლენსკი), „ლორი“ (კიროვაკანი) — „დინამო“ (სტავროპოლი), „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ურალანი“ (ელისტა), „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი).

**6.** „კალიტვა“ — „დილა“, „დინამო“ (ზ.) — „დინამო“ (ბთ.), „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“, „გურია“ — „მერცხალი“, „დინამო“ (კრ.) — „ისკრა“, „ფოლადი“ — „დინამო“ (ბრ.), „ლორი“ — „ურალანი“, „შირაკი“ — „დინამო“ (სტ.), „ტორპედო“ — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი), „დინამო“ (ვოლოგდა) — „ხიმიკი“ (ნ.).

**10.** „დინამო“ (ბთ.) — „კოლხეთი“, „დილა“—„გურია“, „ლოკომოტივი“ — „კალიტვა“, „მერცხალი“ — „დინამო“ (ზ.), „დინამო“ (კრ.) — „ურალანი“, „ფოლადი“ — „დინამო“ (სტ.), „ლორი“ — „დინამო“ (ბრ.), „შირაკი“ — „ისკრა“, „დინამო“ (ვ.) — „ხიმიკი“ (ძ.).

**14.** „დინამო“ (ბთ.) — „გურია“, „დილა“ — „კოლხეთი“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (ზ.), „მერცხალი“ — „კალიტვა“, „დინამო“ (სტ.), „ფოლადი“ — „ურალანი“, „ლორი“ — „ისკრა“, „შირაკი“ — „დინამო“ (ბრ.), „ტორპედო“ — „დინამო“ (ვ.), „ხიმიკი“ (ძ.)—„ხიმიკი“ (ნ.).

**21.** „კალიტვა“ — „გურია“, „კოლხეთი“ — „დინამო“ (ზ.), „დინამო“ (კრ.) — „ლოკომოტივი“, „ფოლადი“ — „მერცხალი“, „ლორი“ — „დილა“, „შირაკი“ — „დინამო“ (ბთ.), „ისკრა“ — „ტორპედო“, „დინამო“ (ბრ.) — „ხიმიკი“ (ძ.), „ურალანი“ — „დინამო“ (ვ.), „დინამო“ (სტ.) — „ხიმიკი“ (ნ.).

**25.** „კოლხეთი“ — „კალიტვა“, „დინამო“ (კრ.) — „მერცხალი“, „ფოლადი“ — „ლოკომოტივი“, „ლორი“—„დინამო“ (ბთ.), „შირაკი“—„დილა“, „ისკრა“ — „ხიმიკი“ (ძ.), „დინამო“ (ბრ.) — „ტორპედო“, „ურალანი“ — „ხიმიკი“ (ნ.), „დინამო“ (სტ.) — „დინამო“ (ვ.).

**29.** „დინამო“ (ბთ.) — „დინამო“ (კრ.), „დილა“ — „ფოლადი“, „ლოკომოტივი“ — „ლორი“, „მერცხალი“ — „შირაკი“, „დინამო“ (ზ.) — „კალიტვა“, „გურია“ — „კოლხეთი“, „ისკრა“ — „ხიმიკი“, „დინამო“ (ბრ.) — „დინამო“ (ვ.), „ურალანი“ — „ტორპედო“, „დინამო“ (სტ.) — „ხიმიკი“ (ძ.).

## მინი-ტურნირებზე

• •

## ჩვენი ფეხბურთელები — II ადგილზე

ესპანეთიდან მოსკოვს დაბრუნდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებიც მონაწილეობდნენ კუნძულ ლას-პალმასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ესპანეთის ქალაქებში წესადაა ჩაფუძნულობით საერთაშორისო მინი-ტურნირების გამართვა 3-4 გუნდის მონაწილეობით. შარშან თბილისელები მონაწილეობდნენ ქ. უელვაში, სადაც პირველი პრიზის მფლობელები გახდნენ, წლეულს კი ისინი ლას-პალმასზე მიიწვიეს. ეს ტურნირი მიძღვნილი იყო აქაური კლუბის — „ლას-პალმასის“ არსებობის 25 წლისთავისადმი. მასში მონაწილეობდნენ მასპინძლები, თბილისის „დინამო“ და პოლონეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „გურნიკი“ (ზაბჟე).

დინამოელებს პირველი მატჩი 27 აგვისტოს ჰქონდათ „გურნიკთან“. შესვენებისთვის ჩვენი გუნდი წინ იყო — 1:0 (ბურთი გაიტანა გ. ნოდიამ). მეორე ტაიმში წერეთელმა და მ. მაჩაიძემ კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, პოლონელებმა კი შეძლეს 1 საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვა „დინამომ“ — 3:1.

მეორე დღეს თბილისელები შეხვდნენ „ლას-პალმასს“ და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ — 1:2 (ბურთი ჩვენი გუნდიდან გაიტანა მ. მაჩაიძემ).

ტურნირის დასკვნით მატჩში ლას-პალმასმა დაამარცხა „გურნიკი“ — 4:3 და მოიპოვა მთავარი პრიზი. თბილისელები II ადგილზე გავიდნენ.

• • •

კადიქსი. აქ გაიმართა ტრადიციული მინი-ტურნირის ფინალური მატჩი. ძირითადმა და დამატებითმა დრომ უპირატესობა ვერ მოუტანა ვერც „ფეიენოორდს“ (როტერდამი) და ვერც „ატლეტიკოს“ (ბილბაო) — 0:0. პენალტების სერია უკეთ შეასრულა „ფეიენოორდმა“ (5:4) და გამარჯვებაც მას დარჩა.

ლა კორუნია. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „პენიაროლი“ (მონტევიდეო) და „ბარსელონა“ (ესპანეთი). II ტაიმის მიწურულში მარცხენა გარემარბ კრუსის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა ურუგვაელებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკვე პირველ ტაიმში მსაჯმა მინდორი დაატოვებინა კრუიფს („ბარსელონა“) და ფერნანდესს („პენიაროლი“).

ბარსელონა. აქ წარმატება წილად ხვდა „სლოვანს“ (ბრატისლავა). ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს ადგილობრივ „ესპანიოლს“.

ხუან-გამპერი. ლა კორუნიაში მარცხის შემდეგ თავისებური რევანში აიღო „ბარსელონამ“. მან ამ ქალაქში ფინალური მატჩი მოუგო „აიაქსს“ (ამსტერდამი) — 3:0.

უელვა. ამ ქალაქში ოთხთა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში „ფეიენოორდმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო „დოჟას“ (უიპეშტი).



როგორც ცნობილია, ამას წინათ ფრუნზეში მოეწყო საკავშირო ფინალური ტურნირი „ტყავის ბურთის“ პრიზზე 13-14 წლის ნორჩ ფეხბურთელთათვის.

საქართველოს სპორტულ ღირსებას ამ შეჯიბრებაში იცავდა სოხუმის „ცისარტყელა“, რომელიც ამ ქალაქის № 6 საცხოვრებელი მეურნეობის ბაზაზე იყო შექმნილი. სოხუმელებმა (საზოგადოებრივი მწვრთნელი ო. გაბუნია) ძლიერად, შთაბეჭდილებით ჩაატარეს მთელი ტურნირი, დაამარცხეს მეტოქეები და მიაღწიეს ფინალს, სადაც წააგეს ორჯონიკიძის „რუბინთან“ და დაიკავეს საერთო II ადგილი. ამ წარმატებისთვის გუნდს გადაეცა საპატიო თასი და ფეხბურთის ბურთი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა ავტოგრაფებით, ნორჩი სოხუმელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი დაჯილდოვდნენ ოქროს მცირე მედლებით და II ხარისხის დიპლომებით, ხოლო სოხუმის მე-20 სკოლის IX კლასის მოსწავლეს ს. ეგოროვს, როგორც ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელს, გადაეცა სპეციალური პრიზი.

„ცისარტყელას“ შემადგენლობაში გამოდიოდნენ გ. შაკაია, გ. ბარამია, გ. გარაშვილი, ტ. კალაიჯიანი, პ. ტელალიანი, ფ. ემექსიზოვი, ვ. ჩხოტუა, ტ. გეგეჭკორი, თ. გაბუნია, ს. ეგოროვი, მ. მინასიანი, ქ. სიდოროპულო, ვ. აირაპეტიანი და დ. მიქაძე.

გ. პოლიასიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: სოხუმის „ცისარტყელას“ ნორჩ ფეხბურთელთა კოლექტივი (მეორე რიგში მარცხნივ — მწვრთნელი ო. გაბუნია).

ი. ჯოხონელიძის ფოტო.

## მწვანე მინდორზე — ჭაბუკები

ჩვენი ქვეყნის ქალაქებში მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრებები, სადაც უნდა გამოვლინდნენ გადამწყვეტი ტურნირის მონაწილენი.

კარგად დაიწყო გათამაშება სევერო-დონეცკში თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა. პირველ დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ტალინის გუნდი — 4:1, შემდეგ ფრედ ითამაშეს იაროსლავლის „შინიკთან“ — 0:0 და მოუგეს ერევნის „არარატს“ — 3:1. 5-5 ქულით წინ არიან თბილისელები და იაროსლაველები.

• • •

კამენსკ-შახტინსკში როსტოველებთან ფრედ დამთავრებული მატჩისა (1:1) და ლვოველებთან გამარჯვების (1:0) შემდეგ ბათუმის დინამოელებმა მოუგეს ვილნიუსის „ჟალგირისს“ — 5:0. აქ წინაა ბაქოს გუნდი — 6 ქულა, ბათუმელები და როსტოველები ლიდერს ჩამორჩებიან 1 ქულით.

• • •

უფაში გამოდის ქუთაისის „ტორპედო“. ქუთაისელებმა მოუგეს ერევნის ახალგაზრდული სკოლის გუნდს—2:0, წააგეს მოსკოვის ოლქის „შრომით რეზერვებთან“ — 1:2 და ფრედ ითამაშეს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ — 0:0. აქ წინაა „შრომითი რეზერვების“ გუნდი — 6 ქულა.

## იმსჯელებენ ფეხბურთელთა ჩემპიონატზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 4 სექტემბერს 15 საათზე თბილისის ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37, კიროვის პარკი) აწყობს გაფართოებულ სხდომას, რომელზეც განიხილავს რესპუბლიკური ჩემპიონატის I წრის შედეგებს.

სხდომაზე დასწრება სავალდებულოა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეებისთვის, იმ სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეთათვის, რომელთა გუნდებიც მონაწილეობენ გათამაშებაში, გუნდების მწვრთნელებისა და კაპიტნებისთვის, მსაჯებისა და ფედერაციის წევრებისთვის.

## 18 სექტემბერს განახლდება

18 სექტემბერს განახლდება თბილისის ჩემპიონატი ფეხბურთში. მასში მონაწილე გუნდების მწვრთნელები და წარმომადგენლები 3 სექტემბერს 12 საათზე უნდა გამოცხადდნენ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში ფეხბურთის ინსპექტორთან (კონსტიტუციის ქუჩა № 6).

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 30 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 24-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“: 5 (ბადმინტონი), 10 (საბუერო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 38 (მშვილდოსნობა), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო-2“: 5 (ბადმინტონი), 6 (ცალათბურთი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 22 (ციგურები), 29 (საპარაშუტო სპორტი), 34 (ხელბურთი).

# სანამ საათებს ჩართავენ

მაშ ასე, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ხელი მოაწერეს პრეტენდენტთა — ანატოლი კარპოვისა (საბჭოთა არმია) და ვიქტორ კორჩნოის („ტრუდი“) ფინალური მატჩის რეგლამენტს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა 16 სექტემბერს დაიწყება. იციან რა, რომ ამ მატჩისადმი მთელი მსოფლიო უდიდეს ინტერესს იჩენს, მოსკოველებმა დიდოსტატებს დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი — კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი დაუთმეს.

23 წლის ანატოლი კარპოვი ამჟამად მოსკოვის მახლობლად მდებარე დასასვენებელ სახლშია და თავისი შტაბის გარემოცვაში ამუშავებს მომავალი ბატალიების გეგმებს. ისევე როგორც პირველობის წინა ეტაპებზე, კარპოვის ოფიციალური სეკუნდანტია ჭადრაკის დიდი თეორეტიკოსი დიდოსტატი ს. ფურმანი.

43 წლის ვიქტორ კორჩნოი ლენინგრადის მახლობლად „გამაგრდა“. მისი სეკუნდანტია საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ ოსნოსი.

ძნელია გამარჯვება დაბეჯითებით უწინასწარმეტყველო კორჩნოის ან კარპოვს. ისინი ღირსეული პარტნიორები არიან. ობიექტური ფაქტორი: ეს დიდოსტატები მოჭადრაკეთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან. ერთი მეორეზე 20 წლით უფროსია.

კორჩნოიმ სპორტსმენის დიდი გზა გაიარა (პირველად იგი დიდი ტურნირის მონაწილეთა შორის 25 წლის წინათ გამოჩნდა) და ახლა, შეიძლება ითქვას, უძველესი თამაშის ყველა სიბრძნე ზედმიწევნით იცის. იგი ბრწყინვალე თეორეტიკოსია, დამუშავებული აქვს ბევრი სადებიუტო იდეა და კომბინაცია. ვინაიდან პარტიის პირველ სტადიაზე — დებიუტზე — შემდგომ ბრძოლაში ბევრი რამ არის დამოკიდებული, კორჩნოი მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას, არ ეზარებოდა მსოფლიოს მთელი საჭადრაკო ლიტერატურის კითხვა და გაანალიზება. სხვათა შორის, ვიქტორმა საკმაოდ კარგად იცის ინგლისური ენა, ესმის სერბიული, გერმანული, ესპანური.

კორჩნოი ძალიან ძლიერია მიტელშპილში — პარტიის შუა ნაწილში. მისი თამაში გამოირჩევა შაბლონის სრული უარყოფით გეგმის არჩევასა და განხორციელებაში. იდეები მუდამ ორიგინალურია, ხოლო, ვინაიდან ისინი დაფუძნებულია მტკიცე დაცვასა და ენერგიული შეტევის უსარზე, კორჩნოის პარტიებში ბევრია რისკი და მოვლენათა მსვლელობა ყოველ წუთს მკვეთრად შეიძლება შეიცვალოს. მისთვის ეს ორთაბრძოლის სტრატეგიაა, მაგრამ მეტოქისთვის ასეთი ცვლილებები ძალზე არასასიამოვნოა. ამგვარ შემთხვევაში თვით ყველაზე გამოცდილი დიდოსტატებიც კი ხშირად შეცდომებს უშვებენ.

დასასრულ, კორჩნოი ენდშპილის, პარტიის დაბოლოების საუცხოო მცოდნეა. მას შეუძლია გადაარჩინოს ურთულესი პოზიციები და გამარჯვებამდე მიიყვანოს ისეთი პარტიები, სადაც მისი უპირატესობა თითქოს უმნიშვნელოა.

ტემპერამენტულს ცხოვრებაშიც და დაფასთანაც, ვ. კორჩნოის შუდამ სწამს თავისი ძალისა. ესაა დიდი სპორტსმენის ჯანსაღი რწმენა და არა თვითდაჯერებულობა, რაც ხშირად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

კორჩნოისთვის ეს წარმატება ყველაზე დიდია მის სპორტულ ბიოგრაფიაში. „ყოფნა — არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის! — უთხრა მან ამას წინათ ჟურნალისტებს და განაგრძო: — მე თავს არ ვიიმედებ იმით, რომ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონი გავხდე პირველობის მომდევნო ციკლში, სამი-ოთხი წლის შემდეგ. მაშინ ხომ 47 წლისა ვიქნები. „დღეს ან არასოდეს“ — ასეთია ჩემი დევიზი“.

ანატოლი კარპოვი საოცარი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. იგი ისე მიიწევდა მაღლა, ჭადრაკის კიბეზე, რომ არ მოუძღვნია განსაცვიფრებელი ეფექტები, როგორსაც ახდენდა, ვთქვათ, ტალი. მაგრამ ყოველ მომდევნო საფეხურზე კარპოვი ბევრად უფრო ადრე აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვიდრე ამას სხვები მოელოდნენ.

კარპოვი გამოირჩევა უპირატესობის შეუმჩნევლად დაგროვების უნარით, მისი მანევრები პარტიაში მარტივი, „უეშმაკო“, ნათელი ჩანს, მაგრამ შედეგი მუდამ მაყურებელთა განცვიფრებას იწვევს. მათაც ხომ ნახეს ეს სვლები, მაგრამ წინასწარ ვინ წარმოიდგენდა, რაოდენ ეფექტური აღმოჩნდებოდა გეგმა! კარპოვის პარტნიორი ყოველთვის ვერ გრძნობს საფრთხეს მის მანევრებში, მაგრამ, როცა ხვდება, უკვე გვიანაა.

ჯერჯერობით არ შეიძლება ითქვას, რომ კარპოვი დებიუტების უბადო მცოდნეა. აქ იგი ჩამოუვარდება კორჩნოის. მაგრამ მას შეუძლია ამ სტადიაში დაშვებული შეცდომები სწრაფად გამოასწოროს მიტელშპილში.

დასკვნით ნაწილს — ენდშპილს — ანატოლი დამაჯერებლად, დახვეწილად წარმართავს. ვინაიდან იგი პოზიციური პლანის მოჭადრაკეა, ენდშპილი კარპოვისთვის მშობლიური სტიქიაა. იგი აქ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

შარშან ზაფხულში ანატოლიმ მე ინტერვიუში მითხრა, მსოფლიო პირველობაში ჯერჯერობით დიდი შანსები არა მაქვსო. „ჩვენ — თქვა კარპოვმა, — ოდესელ დიდოსტატს ვლადიმერ ტუკმაკოვს, მოსკოველ იური ბალაშოვს, დასავლეთგერმანელ დიდოსტატს ჰიუბნერს, შვედ ანდერსონს, იუგოსლაველ ლიუბოევიჩსა და მე შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე სამი ან ხუთი წლის შემდეგ ვიფიქროთ. იმ დროისთვის ჩვენ გავიზრდებით, დავბრძენდებით, ფიშერი კი დაბერდება. ჩვენ ოცდაათის, ფიშერი კი ორმოცი წლის იქნება“.

ასე ამბობდა კარპოვი შარშან, მაგრამ ახლახან, როცა საფრანგეთიდან, საჭადრაკო ოლიმპიადიდან ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში ვკითხე, პროგნოზი ხომ არ შეგიცვლია-მეთქი. ტოლიამ თავდამბლად მიპასუხა, კორჩნოისთან ბრძოლა ძალიან ძნელი იქნებაო. რაც შეეხება ფიშერს, აქ მან გაიღიმა და რაღაც ბიჭური ეშმაკობა გაუკრთა თვალებში, თუ... თუ ჟურნალისტებს აქვთ ცნობა, რომ ამერიკელი ჩემპიონი მატჩს ითამაშებს, კარპოვი და კორჩნოი დღესვე განიხილავენ ამ ახალ ამბავსო.

სამწუხაროდ, არც კარპოვმა, არც კორჩნოიმ, არც თვით ფიშერის უახლოესმა მეგობარმა, მისმა სეკუნდანტმა, დიდოსტატმა ბილ ლომბარდმა (მე შემთხვევა მქონდა მასთან გულახდილად მესაუბრა ოლიმპიადის დროს) არ იციან, რას გადაწყვეტს ახალი მსოფლიო ჩემპიონი. ერთი თვის წინათ ნიცაში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესისადმი გაგზავნილი დეპეშით ფიშერმა განაცხადა, უარს ვამბობ ფიდე-ს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზეო.

ფიშერი უკვე ორი წელია მეფობს ჭადრაკის სამეფოს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან მხოლოდ ერთხელ გაახარა თავისი გულშემატკივრები. ჩემპიონმა მხოლოდ ერთი პარტია ითამაშა ორ წელიწადში და ისიც ყველაზე მოკლე აღმოჩნდა მის ბიოგრაფიაში. ის პარტია შედგა ამ ზაფხულზე მანილაში, ფილიპინის კუნძულებზე. ფიშერის პარტნიორი იყო ქვეყნის პრეზიდენტი მარკოსი. მეტოქეებმა მხოლოდ ოთხი სვლა გააკეთეს. ფიშერმა ამისთვის 20 ათასი დოლარი მიიღო, მოკლე სიტყვა წარმოთქვა და ნიუ იორკისკენ გასწია.

ფიშერი 32 წლისაა. იგი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაშია. და თუ ამერიკელი დიდოსტატი ფინალში მაინც შეხვდა ერთ-ერთ საბჭოთა პრეტენდენტს, ბრძოლა უაღრესად მძიმე იქნება. მძიმე იქნება როგორც ჩემპიონისთვის, ისე პრეტენდენტისთვის.

იური ზარუბინი,
საერთაშორისო არბიტრი.
„ტრუდი“. № 203 (16333).





ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ ნალჩიკელი სპორტის ოსტატის ა. ბერბერაშვილის ხელმძღვანელობით იალბუზზე ავიდა ულიანოვსკის საავტომობილო ქარხნის ყველგანმავალთა კოლონა. გზად მათ ბევრი დაბრკოლება გადალახეს და იალბუზს წვერზე მოექცნენ.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ყველგანმავლებს მთის მდინარის გადალახვის დროს.

ი. ბელოზიოროვის ფოტო.

საქველი ჟურნალისტი

კაპიტალის სამყაროში

## კოლეჯებიდან — უნივერსიტეტებში

რასაც ვერ წაართმევ ჰოვარდ გარფუნკელს, ეს ეშმაკობა, გაქექილი საქმოსნის ალღო და მეძებრის ყნოსვაა. სხვაგვარად როგორ შეიძლება კაცს მოუვიდეს აზრად ის, რაც გარფუნკელმა ამ რამდენიმე წლის წინათ იფიქრა და მერე მყარ კომერციულ საფუძველზე დააყენა?

ეს ისტორია დაიწყო. იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჰოვარდ გარფუნკელს ფულის შოვნის სალეროვანი აეშალა და თვალი კალათბურთს დაასო. ამ თამაშის ნიუანსებში იგი ისევე „კარგად“ ერკვეოდა, როგორც ჩინურ ენაში. სამაგიეროდ, იცოდა, რომ საუნივერსიტეტო კალათბურთი აშშ-ში არნახულ კრიზისს განიცდის და კლუბები მზად არიან გაიღონ ზღაპრული თანხა ტალანტების ხელში ჩასაგდებად.

ჰოვარდ გარფუნკელმა სულ ცოტა ხანში თავისი ჩანაფიქრი საქმედ აქცია. რაში მდგომარეობს ეს საქმე? ყოველი წლის ზაფხულში გაქნილი საქმოსანი აწყობს საუკეთესო მოსწავლე-კალათბურთელთა თამაშებს. ეს, ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავების ტურნირი“ ტარდება პენსილვანიაში. ტურნირის დამთავრების შემდეგ „გარფუნკელის ფირმას“ მზადა აქვს მონაცემები ყოველ მოთამაშეზე: ვინ რამდენი წლისაა, რამდენი ხანია თამაშობს კალათბურთს, რა სიმაღლე აქვს, რამდენს იწონის, სად ცხოვრობს, ვინ ჰყავს ნათესავები და ა. შ. სულ რაღაც 150 დოლარად ნებისმიერ კოლეჯს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ კალათბურთელზე. ფირმას უამრავი კლიენტი ჰყავს. იგი საქმიან მიწერ-მოწერას აწარმოებს ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებთან.

გარფუნკელმა ზუსტად მოახვედრა მიზანში და მიაგნო შემოსავლის უშრეტ წყაროს, ვინაიდან უნივერსიტეტები მზად არიან ასობით ათასი დოლარი გადაიხადონ რომელიმე „ვარსკვლავის“ მისაღებად. ასეთ სუპერ-კალათბურთელებს „იდეალურ“ პირობებს ჰპირდებიან კოლეჯებში. მათ არ უნდა შეიწუხონ თავი სწავლისთვის, არ უნდა იფიქრონ ნიშნებზე და სასწავლებლის დიპლომზე. ამაზე პასუხისმგებლობას კლუბი და სასწავლებლის ადმინისტრაცია იღებს. სტუდენტისგან მოითხოვენ მხოლოდ ერთ რამეს — რაც შეიძლება მეტი ბურთი ჩააგდოს მეტოქის კალათში.

სტუდენტ-სპორტსმენთა სწავლების საკითხი მოწინავე ამერიკელების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ტაჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი. „ოდესღაც სპორტი სასწავლო პროცესის განუყრელი ნაწილი იყო, ახლა კი იგი, სამწუხაროდ, მაპროფილებელი დისციპლინა გახდა“. შემდეგ მას აქვთ მაგალითი მოჰყავს: ნებრასკის უნივერსიტეტის მწვრთნელებმა სესხის სახით მიიღეს 125 ათასი დოლარი, რათა ჩამოეყალიბებინათ ფეხბურთის ერთადერთი გუნდი. ამავე დროს, დაანგარიშებულია, რომ ამ გუნდის შენახვა შემდგომში, სულ ცოტა, 750 ათასი დოლარი დაჯდება. ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა თვით სასწავლო პროცესის დაფინანსებისთვის ადმინისტრაცია უხალისოდ იძლევა სახსრებს.

ჰოვარდ გარფუნკელის წამოწყებამ ამერიკული კალათბურთის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამოაბრწყინა. ეს არის ელფრიდ ლი — 17 წლის ჭაბუკი, რომელმაც ახლახან დაამთავრა ნიუ იორკის ერთ-ერთი სკოლა. ზანგი კალათბურთელი არც ისე მაღალია (სულ 185 სანტიმეტრია), მაგრამ სპეციალისტებს იგი ფენომენალური მონაცემების მქონე სპორტსმენად მიაჩნიათ. ლი წარმოშობით ჰარლემიდანაა, მაგრამ ამჟამად მანჰეტენში ცხოვრობს. გარფუნკელის ფირმამ მას დიდი რეკლამა გაუწია. ლი წინადადებებს იღებს პენსილვანიიდან, ვირჯინიიდან, ვაშინგტონიდან, დეტროიტიდან. მისი მწვრთნელი ჯ. უილესი უსიამოვნოდ ბუზღუნებს: „მთელი დღეობით ტელეფონს ვუზივარ და პასუხს ვცემ წინადადებებზე, რომლებსაც სეტყვასავით აყრიან ლის“.

ლის ოქროს მთებს ჰპირდებიან: უფასო სწავლას, დიდ სტიპენდიას და ასე შემდეგ. მის განათლებაზე თავს არავინ იკლავს — თითქოს დაავიწყდათ, რომ სპორტსმენმა უნივერსიტეტში ზოგჯერ მაინც უნდა ისწავლოს.





## ფეხბურთისა თუ ძალადობის სეზონი

ინგლისში დაწყებული ფეხბურთის სეზონი გულშემატკივრის სახელით შენიღბულ ხულიგანთა დამნაშავეობის უჩვეულო ზრდით აღინიშნა. პირველი მატჩის შემდეგ ჯერ მხოლოდ ათი დღეა გასული, მაგრამ სასამართლოში უკვე ირჩევა „ფეხბურთის მოყვარულთა“ ასობით საქმე. ეს „მოყვარულები“ დაპატიმრებული არიან ჩხუბისთვის, მატერიალური ზარალის მიყენებისთვის და სხვა ხულიგნური გამოხდომებისთვის.

„სტადიონი მაყურებელთა ნამდვილ ბრძოლის ველად იქცა. აუცილებელია ზომები მივიღოთ ასეთ შემთხვევებთან საბრძოლველად“, — განაცხადა ინგლისის სპორტის საქმეთა მინისტრმა დენის ჰაუელმა. მან აღნიშნა, რომ ინგლისური კანონმდებლობა ითვალისწინებს სერიოზულ სასჯელს სტადიონზე ხულიგნური საქციელისთვის.

ჰაუელმა ეს განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ბლეკპულში მოკლეს 17 წლის ჭაბუკი დევიდ ოლსონი. ბლეკპულისა და ბოლტონის ფეხბურთელთა გუნდების მატჩში შესვენების დროს ამ გუნდების „თაყვანისმცემლებმა“ ჩხუბი გამართეს. რამდენიმე წამში ოლსონს დანა ჩასცეს...

ბრისტოლში ერთ-ერთი პირველი მატჩის დროს სტადიონზე ჩხუბისთვის დააპატიმრეს ოცზე მეტი ადამიანი. ხოლო თამაშის შემდეგ ადგილობრივ გუნდთან დამარცხებული (1:2) „კარდიფ სიტის“ ასობით ჭაბუკმა „გულშემატკივარმა“ შურისძიება გადაწყვიტა. პოლიციამ 200 ხულიგანი დააკავა.

„ფეხბურთის მოყვარულები“ ხულიგნურად იქცევიან თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ და ბუნებრივად მიაჩნიათ თავიანთი „ემოციების გამოხატვა“. ლონდონსა და ინგლისის სხვა ქალაქებში ჩვეულებრივი გახდა ასეთი სურათი: „გულშემატკივრების“ ბრბო სტვენით, ყვირილითა და ლანძღვაგინებით შეიჭრება ავტობუსში ან მეტროს მატარებელში. ბიჭები სავარძლებს შალითებს აგლეჯენ, მგზავრებს აგინებენ, გაჩერებებზე კარის გაღების უფლებას არ აძლევენ. ბევრი მათგანი მთვრალია.

„ინგლისში ფეხბურთმა დაკარგა მიმზიდველობა“, — წერდა ამ დღეებში გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. გულშემატკივრებს ეშინიათ სტადიონზე წასვლისა. სპორტული კლუბების მეპატრონეები ზრდიან ხარჯებს ფეხბურთელთა უსაფრთხოების დაცვისთვის. როგორ შეიძლება ბრძოლა „საფეხბურთო ძალადობასთან?“ ამ საკითხზე ფართოდ მსჯელობს ახლა ბრიტანეთის კუნძულების საზოგადოებრიობა. წამოყენებულია ბევრი წინადადება, მაგალითად, უფრო მკაცრი სასჯელი ხულიგნობისთვის, სტადიონებზე პოლიციელთა შტატის გაზრდა. ბევრი სპორტული მიმომხილველი სამართლიანად შენიშნავს, რომ „თვით ფეხბურთელების ქცევა მინდორზე, მათი უხეში თამაში, აპელაციები მაყურებლისადმი ძალიან ცუდად მოქმედებს ინგლისელ გულშემატკივრებზე“. მაგრამ არა გვგონია, ფეხბურთელებმა უარი თქვან ასეთ თამაშზე, კლუბები ხომ მათგან აგრესიულობას მოითხოვენ მაყურებლის უფრო მეტად მიზიდვის იმედით. ბევრი მეჭდვითი ორგანო აღნიშნავს, რომ „გულშემატკივართა ვანდალიზმის ფესვები უნდა ვეძიოთ თავად ინგლისურ საზოგადოებაში, იმ გამხრწნელ გავლენაში, რასაც ახალგაზრდობაზე ახდენს ტელევიზია, კინო და პრესა, რომელიც გამუდმებულ რეკლამას უწევს ძალადობას“.

მ. ოზეროვი,
(სადესის კორ.).

ლონდონი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.